საქმე №2/13628-13

5080574162481

www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

25.04.2019 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილი

განმცხადებელი/მოვალე - სს ,,გუდვილი“
რეაბილიტაციის მმართველი - შპს ,,ბიზნეს ქეარ კორპორეიშენი"
დირექტორი - ნოდარ პაპუკაშვილი

მოთხოვნა - კრედიტორთა კრების მოწვევა

სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა კრედიტორთა მეორე კრების მოწვევის საკითხი და

გამოარკვია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია სს ,,გუდვილის“ გადახდისუუნარობის საქმე.

2019 წლის 19 აპრილის განჩინებით სს ,,გუდვილის“ რეაბილიტაციის მმართველის შპს ,,ბიზნეს ქეარ კორპორეიშენის" დირექტორის ნოდარ პაპუკაშვილის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ მოწვეულ იქნა კრედიტორთა რიგგარეშე კრება 2019 წლის 25 აპრილს 12:00 საათზე.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51%, მიუხედავად იმისა, ჩაჰბარდათ თუ არა კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება დანარჩენ კრედიტორებს, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მოცემულ შემთხვევაში 2019 წლის 25 აპრილს კრედიტორთა რიგგარეშე კრებაზე წარმოდგენილი იყო კრედიტორთა ხმების

საერთო რაოდენობის 51%-ზე ნაკლები.

აღნიშნული მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, თუ კრედიტორთა კრება არ შედგა, ან კრება გადაწყვეტილებაუუნაროა, ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, 7 დღის ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მასზე წარმოდგენილ ხმათა რაოდენობის მიუხედავად.

ვინაიდან კრებაზე არ იქნა წარმოდგენილი კრედიტორთა საკმარისი რაოდენობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწვეულ უნდა იქნეს მეორე კრება იგივე დღის წესრიგით.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა მეორე კრება მოწვეული იქნეს 2019 წლის 16 მაისს 12:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.) სხდომის დარბაზი №51 შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. სს ,,გუდვილის" რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილება-დამატებების შეტანა.

1.2. სხვა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ჭუნიაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.05.03 10:38:52 +04'00'